PDF Eraser Free

შპს ბარაკონის

ფარმაცია(სააფთიქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
ნატა ჩხაიძე

(ქალაქი თბილისი, 2020 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბარაკონი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **15/05/2020** N **384227** ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 21-22 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს ბარაკონში ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- დირექტორთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან (საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცედურების, საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების საკითხებზე);
- საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- გასაუბრება საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ;
- გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ კლინიკებსა და დაწესებულებას შორის დადებულ ხელშეკრულებებში ტერმინი „კვალიფიციური სპეციალისტი“ დაკორექტირდეს ჩანაწერით „საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისი პირი“ ან მსგავსი ჩანაწერის, რომელიც ექთნის კომპეტენციას დააკავშირებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კლინიკურ სწავლებაში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან - აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულებამ ევექსის კლინიკასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას დანართად დაამატა განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2.სასურველია ფარმაცია(სააფთიქო) AC გარემოში, რომელშიც უნდა განხორციელდეს ქიმიური რეაქციების ჩატარება, პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა უსაფრთხოების მიზნით განთავსდეს ცეცხლმაქრი - დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა, აღნიშნულ გარემოში განთავსებულია ცეცხლმაქრი;

3.სასურველია დაწესებულების საქმისწარმოების წესში გათვალისწინებულ იქნას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების და მოქმედების შესახებ (N414. 01.07.1999 წ)განსაზღვრული მოთხოვნები, რაც გულისხმობს დოკუმენტების, მ.შ მმართველობითი ხასიათის დოკუმენტების დაყოფას უნიფიცირებული სისტემის, საქმეთა ნომენკლატურის ინდექსების მიხედვით - აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საპილოტედ ჩართულია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნული სისტემის სრულყოფა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 2

რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით:

კომპონენტი 2.4.1

კრიტერიუმი 5. „შპს ავერსი ფარმასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას დაემატოს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკის ბაზაზე;

კრიტერიუმი 6. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და ფარმაციის (სააფთიქო) პროგრამის C გარემოში გამოაკრას ქიმიური ნარჩენების მართვის წესი და ასევე ხელშეკრულება გააფორმოს კომპეტენტურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო ნარჩენების გატანას;

განვითარების რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.1

კრიტერიუმი 4. რეკომენდირებულია დაწესებულებამ განაახლოს დარგის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა;

კომპონენტი 2.2.1

კრიტერიუმი 4. რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელი მეტად ჩაერთოს პროგრამის განხორციელების და შეფასების ნაწილში, ასევე გააკეთოს ინიცირება რესურსების (სასწავლო და მატერიალური) მობილიზების/განახლების თვალსაზრისით, აღნიშნული გაიწეროს მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში(ფუნქცია-მოვალეობებში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №36/17.06.2019 ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის ბრძანებით №34/23.06.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	თბილისი, ანა პოლიტკოვსკაია (ყოფილი ჯიქია) N4, სართული VI
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად	მოდულური 40 - ზღვრული რაოდენობა თბილისი, ანა პოლიტკოვსკაია (ყოფილი ჯიქია) N4, სართული VI N169/09.09.2019
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა	40
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მოდულური 80 - ზღვრული რაოდენობა თბილისი, ანა პოლიტკოვსკაია (ყოფილი ჯიქია) N4, სართული VI

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ბარაკონის მისიაა მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან შრომის ბაზარზე. ამისათვის კოლეჯი მიაწოდებს თავის პროფესიულ სტუდენტებს საქართველოს პროფესიული განათლების მიზნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს მათთვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნას და მისცემს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად რეალიზების საშუალებას. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N05 ბრძანებით დამტკიცებულია 2020წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელთა ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულება 2020 წელს გეგმავს პროგრამების ზღვრული რაოდენობის გაზრდას. 2020 წლის 30 მარტს დირექტორის N12 ბრძანებით ცვლილება შევიდა შპს ბარაკონის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესში, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესში. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ გეგმავენ აღნიშნული დოკუმენტების გადახედვას და ცვლილებების განხორციელებას.

შრომის ბაზრის მოთხოვნების კომპონენტის კვლევის ანგარიშის მიხედვით, პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულ ფარმაცევტთა რაოდენობა დაახლოებით 3000-ია. ამავე კვლევის ანგარიშით, დასაქმების მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში, რომელიც დასაქმების მხრივ ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ სფეროს. ფარმაცევტის თანაშემწის საგნობრივი პროგრამა კი 2000 წლიდან ხორციელდება კოლეჯში. პროგრამის ფარგლებში წლებია დაწესებულება თანამშრომლობს შპს „ავერსი-ფარმა“-სთან, რომელიც კურსდამთავრებულებს სისტემატიურად ასაქმებს. ასევე, აღნიშნული თანამშრომლობა გრძელდება ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე, შპს „ავერსი-ფარმა“-ს სააფთიაქო ქსელში მათი წარმომადგენლების მიერ (პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ინსტრუქტორები) ხორციელდება 8 პროფესიული მოდული. ამასთან, მიმდინარე წლის 24 მარტს, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და განისაზღვრა რომ წლის განმავლობაში შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 40 პროფესიული სტუდენტის ნაცვლად, მოემსახუროს დამკვეთის 80 პროფესიულ სტუდენტს სასწავლო წლის განმავლობაში. შესაბამისად, პარტნიორი დაწესებულება გამოხატავს სურვილს და დაინტერესებას მის ქსელში დაასაქმოს უფრო მეტი კურსდამთავრებული მთელი საქართველოს მასშტაბით. ასევე, მუშაობს სტუდენტთა კომპეტენციის შესაბამის დასაქმების შეთავაზებაზე. აღნიშნული დასტურდება ელექტრონული ფოსტის მიმოწერითაც. ასევე, კოლეჯის C გარემოს აქვს გამტარიანობა და შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომ მოემსახუროს 80 პროფესიულ სტუდენტს. C გარემო ასევე გამოიყენება პროგრამის თეორიული სწავლების მიზნებისთვის, თუმცა პროგრამისთვის ასევე გათვალისწინებულია დამატებითი A გარემო. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყენებულია სამი სასწავლო აუდიტორია, ადამიანური რესურსების რაოდენობა და დატვირვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას შესაბამისად აღნიშნული გარემოებები იწვევს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საჭიროებას. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, მასში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება ხდება „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცედურა, პროგრამის დამტკიცება და უფლების მოპოვება,პროგრამაში ცვლილებების შეტანა და გაუქმება, პროგრამის შეფასება და განვითარება, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. გადამოწმდა პროგრამაში ცვლილების განხორციელების არსებული პრაქტიკა და დადგინდა, რომ დაწესებულება იცავს გაწერილ პროცედურას.

2. ფარმაცია(სააფთიქო) პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. შპს ბარაკონის დირექტორის ბრძანებით N18(07.05.2020 წ) დამტკიცებულია შპს ბარაკონის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე შემუშავებულია ფარმაცია(სააფთიქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის დასაბუთება; ფარმაციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:A გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები); C გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორი საწარმოს რესურსი; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მითითებული იყო პროგრამით გათვალისწინებულ რიგ პროფესიულ მოდულებში არ იყო საკმარისი, ანუ მითითებული ლიტერატურით შეუძლებელი იყო პროფესული მოდულებით გათვალისწინებული თემატიკის სწავლის შედეგების მიღწევა, დაწესებულებას ეცნობა აღნიშნულის თაობაზე, დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის N33 ბრძანებით ცვლილებები განახორციელდა შესაბამის მოდულებში და დაემატა სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულებამ განაახლოს დარგის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფარმაცია(სააფთიქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს;

6. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, აღნიშნული უფლებამოსილება დარეგულირებულია წესდებით.

7. პროგრამის დასახელება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის დასახელება არ არის შეცვლილი და იდენტურია პროფესიული საგანმანათებლო დაწესებულებების საბჭოს გადაწყვეტილებით ავტორიზებული პროგრამის დასახელებისა.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი **ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy 09110-პ**. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა(120 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 150 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა,ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს გააზრებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნები, უკვე იდენტიფიცირებულია შესამუშავებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, პასუხისმგებელი პირების და ვადების მითითებით. გადამოწმდა ასევე უკვე შემუშავებული წესების შესაბამისად დაწესებულების მუშაობის სტრატეგია და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იცავენ მათ;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბარაკონის დირექტორის ბრძანებით ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- შპს ბარაკონის პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- შპს ბარაკონის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შპს ბარაკონის ბიბლიოთეკის ფონდით
- შპს ბარაკონის მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს ბარაკონის წესდებით;
- შპს ბარაკონის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- შპს ბარაკონის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით;
- გასაუბრების შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს A, B და C გარემო.პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას აქვს სიმულაციური გარემო C, დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის პროფესიული მოდულის: „სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა“ განხორციელება დაგეგმილი ჰქონდა პრაქტიკის ობიექტზე „შპს ავერსი ფარმა“, თუმცა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულის 2,3 და 6 სწავლის შედეგის მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამ შედეგების განხორციელება/მიღწევას ესაჭიროება სპეციფიური სამუშაო გარემო და რესურსი, რასაც აღნიშნული პრაქტიკის ობიექტი სრულად არ ფლობდა, ვინაიდან ავერსი ფარმა არის მზაწამლის ფორმების რეალიზატორი, აღნიშნული მოდული უკვე დასრულებულია, მტკიცებულებების გადამოწმებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინერვიურებით ირკვევა, რომ აღნიშნული მოდულის ნაწილი სწავლის შედეგები დაწესებულებაში მიიღწა და ნაწილი პრაქტიკის ობიექტზე, მათი რესურსების გათვალისწინებით, ექსპერტების რეკომენდაციით დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში მოდულის განხორციელების მიდგომებში გამიჯნა სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულებასა და აფთიაქის ბაზაზე, დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N34 ბრძანებით ცვლილებები შევიდა პროგრამის შესაბამის დანართებში,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; რაც შეეხება C გარემოს გამტარიანობას, თუ დაწესებულება მიიღებს სრულად განსაზღვრული კვოტის ფარგლებში სტუდენტებს იქმნება 4 ჯგუფი, რომლებიც პროგრამით გათვალისწინებულ 11 პროფესიულ მოდულს გაივლიან ორი წლის განმავლობაში აღნიშნულ გარემოში, წარმოდგენილი სასწავლო გეგმით ორცვლიანი რეჟიმით დატვირთვაც არ იყო საკმარისი მოდულებით გათვალისწინებული საათების ჩასატარებლად, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ მათ წარმოადგინეს დაკორექტირებული სასწავლო გეგმა, სასწავლო გეგმაში მოდულების დაგეგმვა ისე განხორციელდა, კვირეული დატვირთვა შემცირდა, დაკორექტირდა ასევე მატერიალური რესურსის დანართი, კერძოდ: ამოღებულ იქნა თემატურ თვალსაჩინოებებზე ჩანაწერი(ჩანაწერის მიხედვით დაწესებულებას უნდა ჰქონოდა ამობეჭდილი თვალსაჩინო მასალები ყველა მოდულის ფარგლებში), გასაუბრების საფუძველზე დაფიქსირდა მოსაზრება, რომ თემატური თვალსაჩინოებების ჩვენება ხორციელდება ელექტრონულად, სადემონსტრაციო საშუალებებით, დაკორექტირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.ფარმაციის(სააფთიაქო) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია, განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების, მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დანიშვნის აქტების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ფარმაციის(სააფთიაქო) პროგრამისთვის განსზღვრული განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობაა **19** და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მასწავლებლების დატვირთვა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, ზოგ შემთხვევაში მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ნაწილი საკითხები გაწერილია კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში და ნაწილი დარეგულირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებაში, ეს ყველაფერი გათვლისწინებულია მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაში.

3.თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს შესაბამისი აქვს კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ გავლილი აქვთ ტრენინგები, დაწესებულება აკონსულტირებს ინდივიდუალურ რეჟიმშიც მასწავლებლებს სტუენტებთა სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების კომპონენტებში.

4.ფარმაციის(სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი/კოორდინატორი, რომელიც ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში, დახმარებას უწევს სასწავლო გეგმების /ინდგეგმების შედგენაში, კოორდინაციას უწევს პროფესიული განათლების მასწავლებლებს - მოდულების კალენდარული გეგმების/ შეფასების ინსტუმენტების დროს და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საკითხებს კურირებს. სასურველია პროგრამის ხელმძღვანელი მეტად ჩაერთოს პროგრამის განხორციელების და შეფასების ნაწილში, ასევე გააკეთოს ინიცირება რესურსების (სასწავლო და მატერიალური) მობილიზების/განახლების თვალსაზრისით, აღნიშნული გაიწეროს მის ხელშეკრულებაში(ფუნქცია-მოვალეობებში).

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან განხორციელდა ინტერვიუს შედეგები: მასწავლებლები მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხორციელდება კალენდარული გეგმების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, მასწავლებლები პერიოდულად ესწრებიან ტრენინგებს და გამოთქვამენ მზაობას შემდგომი განვითარებისათვის.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გადამოწმდა შერჩევითი პრინციით, დადგინდა რომ ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე http://geolibrary.byethost3.com/barakoni/opac/index.php;

6. შენობა ადაპტირებულია იმ პირთათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას, დამოტანჟებულია ლიფტი, ადაპტირებულია სველი წერტილები(შენობის პირველ სართულზე, რომელიც დაწესებულებას აქვს იჯარის ხელშეკრულებით), შესაბამისად სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, სწორად დაადგინოს სწავლის საფასური, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა სწავლის საფასური ან/და ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციის ხელფასს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების და ნედლეულის ხარჯებს, კომუნალურ ხარჯებს, იჯარის და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით რენტაბელური ჯგუფის ოდენობა, ანუ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას განსაზღვრულია 11 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა აღემატება რენტაბელობის ნორმას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბარაკონის ბიბლიოთეკის ფონდით http://geolibrary.byethost3.com/barakoni/opac/index.php ;
- შპს ბარაკონის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით ;
- შპს ბარაკონის მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაციით;
- შპს ბარაკონის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები/შრომითი ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების ვებგვერდით ;
- ინტერვიუს შედეგებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ბარაკონის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. სამსახურის დანიშნულებაა კოორდინირებული ქმედებების ერთობლიობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვა, რომელიც მოიცავს ხარისხის დაგეგმვას, კოტროლს და მიმართულია პროგრამების მუდმივი გაუმჯობესებისაკენ. ხარისხის მართვის პროცესში ცენტრალურ ადგილს იკავებს სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესება; სამსახურის ფუნქციებია: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება; სასწავლო პროცესთან, ავტორიზაციასთან დაკავშირებული წესების, დადგენილებების, ბრძანებების შემუშავების ორგანიზება და ხელმძღვანელობა; ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების დირექტორისთვის წარდგენა; ავტორიზაციისათვის თვითშეფასების კითხვარის და თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის მომზადების ხელმძღვანელობა; შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური მონიტორინგის განხორციელება; არისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის სხვადასხვა კითხვარების შემუშავება და კვლევების განხორციელება; კითხვარების ანალიზის საფუძველზე კოლეჯის დირექტორისთვის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიიზნით რეკომენდაციების წარდგენა სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ორგანიზება; სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების მიმართულებით ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება.

კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძ. №27/25.05.2020.) დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები , კოლეჯი მუდმივად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს. შეფასების სისტემის შექმნაში აქტიურად არიან ჩართულნი კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ინსტრუქტორები და სხვა შესაბამისი სამსახურები. კოლეჯი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების წესების ჩამოყალიბების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, მტკიცებულებათა ვერიფიკაციას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლას და ამ პროცესში ეყრდნობა ხარისხისუზრუნველყოფის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს, რაც გულისხმობს დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და იმოქმედე/განავითარე; ხარისხის განვითარების სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, აგრეთვე გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს ანგარიშებს, სადაც მოცემულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის პროგრამების, სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პერსონალის საქმიანობის შეფასება და ამ კუთხით გაცემული რეკომენდაციები.

2.ხარისხის სამსახურის 2019 წლის ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - მოდულთა განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების ჩართულობა და მათი დამოკიდებულების შესწავლა. ამისთვის კოლეჯი მიმართავს შერეული კვლევის მეთოდს - გამოკითხვისა და დაკვირვების მეთოდების გამოყენებით. სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კითხვარების შედგენა, გამოკითხვის წარმოება, შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს პროფესიული სტუდენტების მოსწრება/შეფასება წარმოადგენს.გამოკითხვების და დასწრების ანალიზმა უჩვენა, რომ თითოეული პროგრამის ფარგლებში აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული განათლება წარმოადგენს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ განათლებას, შეფასების მთავარი სამიზნე პრაქტიკული უნარების დემონსტრირება უნდა გახდეს. შესაბამისად დაწესებულებამ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ამ მიმართულებით განახორციელა ინდივიდუალური კონსულტაციები,ასევე შეფასების დასწავლების მეთოდების შესახებ ტრენინგები. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განხორციელებული აქვს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ შეცვალა მოდულის სწავლების მეთოდები, განაახლა სასწავლო რესურსი(ლიტერატურა), გამოკითხვათა ანალიზის საფუძველზე განახორციელა ცვლილებები სასწავლო გეგმაში და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბარაკონის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანზმებით;
- შპს ბარაკონის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის ანგარიში (2019);
- შპს ბარაკონის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით;
- ვებ გვერდით http://barakoni.edu.ge/
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა(არაუმეტეს 40 სთ), სასწავლო პროცესის სამსახურთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დგინდება, კალენდარული გეგმები შემუშავებულია სასწავლო გეგმის შესაბამისად;

2. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ცვლების გათვალისწინებით(09:00-21:00 სთ) და რომ პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე მორგებული. შაბათი დღე არის სასწავლო დღე, რომელიც დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული;

3. პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია,სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ინდივიდუალურ საჭიროებად განხილული აქვს ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინამსწრები ფორმალური განათლების აღიარება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულებას გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, რომელიც საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მათთვის მორგებული სერვისების შეთავაზების პირობებს მოიცავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა.

5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან: შპს ავერსი ფარმასთან, ხელშეკრულებით დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაცია, მოდულების დასახელება, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა(წელიწადში 40 პროფესიული სტუდენტის მიღება, ორწლიან პროგრამაზე რაოდენობა ორმაგდება), მატერიალურ - ტექნიკურ ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უსაფრთხოების ნორმების დაცვით დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაწესებულება გეგმავს თითქმის 8 პროფესიული მოდულის განხორციელებას პრაქტიკის ბაზაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით რეკომენირებულია „შპს ავერსი ფარმასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას დაემატოს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკის ბაზაზე; კომპანიის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას გამოთქვეს მზაობა თანამშრომლობის გაგრძელების, კომპანიის ქსელებში მოახდენენ აღნიშნული რაოდენობის სტუდენტების გადანაწილებას (ერთ ობიექტზე 2 სტუდენტი), მათ დასაქმებული ჰყავთ აღნიშნული დაწესებულების კურსდამთავრებულები და გამოთქვამენ სურვილს კვალიფიციური კადრების დასაქმებასთან დაკავშირებით.

6.დაწესებულებაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და დამუხტული ცეცხლმაქრები, დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები,ნიშნულები. დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სერთიფიკატი, ფარმაციის(სააფთიაქო) პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ C გარემოში გამოკრულია უსაფრთხოების წესები ქიმიურ ლაბორატორიაში, რომელშიც გაწერილია ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები, განთავსებულია ცეცხლმაქრი . პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და ფარმაციის (სააფთიქო) პროგრამის C გარემოში გამოაკრას ქიმიური ნარჩენების მართვის წესი და ასევე ხელშეკრულება გააფორმოს კომპეტენტურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო ნარჩენების გატანას;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კალენდარული გეგმებით;
- შპს ბარაკონის დირექტორის დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- შპს ბარაკონის მატერიალური რესურსით და მისი ფლობის დოკუმენტაციით;
- შპს ბარაკონის პრაქტიკის ხელშეკრულებით;
- შპს ბარაკონის საევაკუაციო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრების შედეგებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში შეფასების სისტემის გამართული მუშაობისათვის გაწერილია: შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი, ასევე განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით საკითხები: რა ვადებში ეძლევა სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რამდენჯერ შეუძლია გასვლა; სწავლის შედეგების დასადასტურებელი შეფასების ინსტრუმენტი უნდა შემუშავდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის/საგანმანათლო პროგრამებისთვის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქციის შესაბამისად და მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებლის მიერ შეთანხმდეს სხვა მოდულის განმახორციელებელთან ან პროგრამის კოორდინატორთან და დირექტორის მოადგილესთან, რომლებიც წარმოადგენენ შიდა შემმოწმებლებს. მოდულის განმახორციელებელი ან პროგრამის კოორდინატორი, სწავლის შედეგების დადასტურებამდე, მოდულის განმახორციელებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ/დარგობრივ თავსებადობას, ხოლო დირექტორის მოადგილე - სტრუქტურულ თავსებადობას. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება შეფასების პროცესში. თუ მოდული წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასრულებამდე ერთხელ მოითხოვოს სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმის მიღწევის დამატებითი შეფასება, თუ დამატებითი მოთხოვნები შეფასების ინსტრუმენტში გაწერილი არაა. თუ მოდული წარმოდგენილია წინაპირობით, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს არაუგვიანეს მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ი. მოდულის დასრულებამდე და მოდულის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში, განმეორებითი შეფასების თარიღს ნიშნავს პროფესიული განათლების მასწავლებელი დირექციასთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით. მოდულის დასრულებიდან ორი კვირის ვადის გასვლის შემდეგ, პროფესიული სტუდენტი დირექციასთან წერილობითი მიმართვის საფუძველზე ითხოვს, განმეორებით შეფასებას. შეფასების თარიღს პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით ნიშნავს დირექტორი. შეფასების ინსტრუმენტად ტესტის გამოყენებისას, როდესაც პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, მიზანშეწონილია განმეორებითი შეფასებისას უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით გათვალისწინებული კითხვები ნაწილობრივ იქნას გამოყენებული. სასურველია დახურული კითხვები შეიცვალოს, ხოლო ღია კითხვები შესაძლებელია უცვლელი დარჩეს. შეფასების ინსტრუმენტად პრაქტიკული დავალების გამოყენებისას, როდესაც პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, შესაძლებელია განმეორებითი შეფასებისას გამოყენებული იყოს იგივე შეფასების ინსტრუმენტი. სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ის ვერდადასტურება, რომელიც გამოწვეულია არგამოცხადებით, განმეორებითი შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იგივე შეფასების ინსტრუმენტი. პროფესიული სტუდენტი, რომელიც განმეორებითაც ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგებს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, თავიდან გაივლის მოდულს ალტერნატიული ჯგუფების პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ალტერნატიული ჯგუფების არარსებობისას. სწავლის შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად 3 სამუშაო დღის ვადაში. თუ პროფესიული სტუდენტები წინაპირობით წარმოდგენილი მოდულის ყველა სწავლის შედეგს დაადასტურებენ სწავლის პერიოდში, დირექტორი უფლებამოსილია, სასწავლო გეგმით განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული ორკვირიანი შუალედი, შეამციროს და გამოსცეს ინდივიდუალ-სამართლებრივი აქტი სწავლის ვადაზე ადრე დაწყების შესახებ. პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების შპს ბარაკონის დირექტორი საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციით. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. მოდულის განმახორციელებელი პირებისგან შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელიც უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, მოდულის დასრულების შემდეგ პროგრამის კოორდინატორი წარუდგენს დირექტორის მოადგილეს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 14 არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრებას, რომლის მიხედვითაც: სწავლის შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად 3 სამუშაო დღის ვადაში. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯს წარუდგინოს გასაჩივრების შესახებ წერილობითი განცხადება. განცხადება უნდა მოიცავდეს განმცხადებლის ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, არგუმენტირებულ დასაბუთებასა და თარიღს. წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი საჩივარი არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ გასაჩივრებულია შეფასების პროცესთან/ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები, საჩივარს განიხილავს დირექტორის მოადგილე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ფასდება ერთი შემფასებლის მიერ, ხოლო პროფესიული სტუდენტის მიერ გასაჩივრებულია შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი მხარის შეფასება, დირექტორის მოადგილის დავალებით ნაშრომის შეფასება დაევალება კოლეჯის შესაბამისი დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს/მოდულის განმახორციელებელს წერილობითი საჩივრის წარდგენიდან იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი საჩივარს განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა. მასწავლებელს შეუძლია ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს სტუდენტის სასარგებლოდ. გასაჩივრების დაკმაყოფილების და პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს შეფასების უწყისში, რისთვისაც წერს სამსახურებრივ ბარათს დირექტორის მოადგილის სახელზე. გასაჩივრების შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება საჩივრის განხილვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

2. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების შემოწმება/ვერიფიკაცია, შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტების მიხედვით,მოწმდება თუ არა მიღებული გადაწყვეტილების სისწორე და გაკეთებული შეფასებები ობიექტურია თუ არა. ვერიფიკაცია სამი მიმართულები ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის შესაბამისად, ვერიფიკაციის პროცესი იწყება გეგმის შემუშავებით და სრულდება ანგარიშების შედგენით და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით; ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა სტუდენტის მტკიცებულებები, თუმცა ხდება საკმარისი ნამუშევრების შერჩევა იმისათვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია მასწავლებლის სეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს. დაწესებულებას გაწერილი აქვს რისკ-ფაქტორების ანალიზის სქემა, თითოეული რისკ-ფაქტორი დაყოფილია დაბალ,საშუალო, მაღალ და კრიტიკულ რისკ-ფაქტორად დამინიჭებული აქვს ქულები.

ვერიფიკატორების მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო ან არიყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირველე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. დასკვნა განიხილება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად შეიმუშავებენ რეკომენდაციებს და რეაგირების გეგმას; დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული რეგულაციის მიხედვით ვერიფიკაცის არ განხორციელებულა, თუმცა დაწესებულება გეგმავს ვერიფიკაციის პროცესის დაწყებას, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაგეგმავს შემდგომი რეაგირებას.

3. დირექტორის მოადგილე მტკიცებულებებს, აღრიცხვის მიზნით, გადასცემს საქმისწარმოების სპეციალისტს, რომელიც აღრიცხავს ელექტრონულად და ინახავს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით სპეციალურად მტკიცებულებებისთვის გამოყოფილ ადგილას. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად, რომელიც აღირიცხება უწყისების აღრიცხვის ჟურნალში. არსებული პრაქტიკის გადამოწმების მიზნით განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების შემოწმება, ახალი რეგულაციის მიხედვით დაწესებულებამ შექმნა მტკიცებულებების და შეფასების უწყისების აღრიცხვის ფორმები, მათი აღრიცხვის მიზნით.

4. განმავითარებელი შეფასების ფარგლებში მასწავლებლები მუდმივად უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის მიღწევების/გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ უკუკავშირის მიწოდებას, პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შდეგების დაუდასტურებლობის შემხვევაში უფლება აქვთ გავიდნენ განმეორებით დადასურებაზე, ვერიფიკაციის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პროგრამის განვითარება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- შპს ბარაკონის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შპს ბარაკონის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანზმებით;
- შეფასების მტკიცებულებებით;
- შესაბამისი ჟურნალის ფორმებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. შპს ბარაკონის ვიზიტის დღის წესრიგი;

16.07.2020წ

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: